საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

19/03/2021 N 32/ო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა), დანართის შესაბამისად.
2. ეთხოვოთ სამინისტროს სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში თანამშრომლობა.
3. დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; №6).

ირაკლი ქარსელაძე

მინისტრი